ხუთი ბურთი მოსკოველთა კარში

თბილისის დინამოელები მატჩში მოსკოვის "ლოკომოტივთან" შემდეგი შემადგენლობით გამოვიდნენ: მარღანია, ელოშვილი, ძიაპშპა, რუსაძე, პანიუკოვი, გარიშვილი, ჯოჯუა, მახარაძე, ვარდიმიადი, ღოღობერიძე, თოდრია. სტუმრების რიგებში იყვნენ გრაჩოვი, ანტონევიჩი, ზაბელინი, ოსიპოვი, ლიადინი, ლახონინი, პანფილოვი, ლაგუტინი, პეტროვი, ბოლოტოვი, პიროგოვი.

ლენინგრადელი მსაჯის ზიაბლიკოვის სასტვენის ხმა და პეტროვს ბურთი თამაშში შეჰყავს. მატჩი იწყება სწრაფი ტემპით, ტრადიციული დაზვერვის გარეშე... თბილისელები უხვად ატარებენ კომბინაციებს და უშუალოდ მოწინააღმდეგის კართან ბურთის მიტანას ცდილობენ; რკინიგზელ ფეხბურთელებს პირიქით, ორი, მაქსიმუმ სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ გარღვევის მოსახდენად ბურთი ძლიერი დარტყმებით ფლანგებზე გადააქვთ, ან შორი მანძილიდან ურტყამენ კარში.

საუკეთესოდ მოქმედებს ორივე გუნდის დაცვა. აქ ხაზი გვინდა გავუსვათ რუსაძის თამაშს, რომელიც პირველად ამოუდგა მხარში ისეთ ძლიერ ოსტატებს, როგორიც არიან ძიაპშპა, პანიუკოვი და სხვები. რუსაძის დინჯი, ტექნიკურად და ტაქტიკურად სავსებით გამართული მოქმედება (იგი მეტად ენერგიულსა და ტექნიკურ პანფილოვს "აკავებდა") იმის საწინდარია, რომ ეს ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი ღირსეულად გაამართლებს გუნდის იმედებს.

29-ე წუთია. პანფილოვი შედის მარცხენა შუამარბის სექტორში და პანიუკოვთან ორთაბრძოლაში მოულოდნელი დარტყმით ხსნის ანგარიშს.

თამაში იწყება ცენტრიდან... ღოღობერიძე, ვარდიამიადი და პანიუკოვი რამდენიმე შესანიშნავ კომბინაციას წაროიწყებენ და ბურთი სტუმართა საჯარიმო მოედანზეა, სადაც გრაჩოვი სხარტი ნახტომებით ეუფლება მას. მაგრამ ტაიმის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე თბილისელთა ლამაზი კომბინაციით (ღოღობერიძე-ჯოჯუა-თოდრია) ანგარიში გათანაბრდა.

შესვენების შემდეგ მახარაძის ადგილს ანთაძე იკავებს. ენერგიული, შემტევი სტილის ფეხბურთელის გამოსვლას დიდი სიცხოველე შეაქვს თბილისელ თავდამსხმელთა თამაშში, იერიშები უფრო გამიზნული და სახიფათო ხდება.

მე-5 წუთზე ღოღობერიძე იღებს ბურთს ვარდიმიადისგან, შეუჩერებლივ გადის მარცხენა ფრთიდან, კარგი ფინტით "თავიდან იცილებს" ანტონევიჩს და ბურთს კარის გასწვრივ აწოდებს. აქვეა ანთაძე და ბურთი ბადეში ეხვევა.

მატჩი მეტად მწვავდება. სტუმრები სასტიკ იერიშზე გადადიან. მე-7 წუთზე ლაგუტინი შორი მანძილიდან საშინელი სიძლიერით ურტყამს ბურთს, რომელიც კარის ძელს ხვდება და უკან ბრუნდება. მას უსწრებს ბოლოტოვი და თავური დარტყმით კარის კუთხეში გზავნის. მარღანიას ბრწყინვალე ნახტომი და ბურთი აღებულია.

31-ე წუთზე ვარდიმიადის გააქვს მესამე ბურთი (იგი კარგად გაიყვანა გარღვევაზე ჯოჯუამ). მეოთხე და მეხუთე ბურთი თბილისელებმა ანალოგიური კომბინაციით გაიტანეს: გარღვევა მარცხენა მხრიდან, მოწოდება კარის გასწვრივ და გოლი (ანთაძე, ღოღობერიძე).

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი ანგარიშისა (5:1), მოსკოვის "ლოკომოტივი" ძლიერად თამაშობდა და მისი დამარცხება უმთავრესად დაცვის მარჯვენა ფლანგის მოშლამ გამოიწვია.

"ლელო", 9 ივნისი 1950 წ.